



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

ქუთაისი 4600, ირაკლი აბაშიძის გამზირი № 26
პარლამენტის სასახლე

ბრძანება № 9/3 16 01 2017წ.

ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს
შექმნის შესახებ

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 107-ე მუხლის „ლ“, „უ“ და „ჰ“ ქვეპუნქტებისა და 283¹ მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების შესაბამისად:

1. საპარლამენტო გამჭვირვალობისა და საქართველოს პარლამენტის სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად შეიქმნას ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

- | | |
|----------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------|
| ა) ირაკლი კობახიძე - | პარლამენტის თავმჯდომარე; |
| ბ) თამარ ჩუგოშვილი - | პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე; |
| გ) გიორგი კახიანი - | პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე; |
| დ) კახაბერ კუჭავა - | პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე; |
| ე) ირინე ფრუიძე - | პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე; |
| ვ) გუგული მალრაძე - | პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; |
| ზ) გიორგი ტულუში - | პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; |
| თ) ოთარ კახიძე - | პარლამენტის წევრი; |
| ი) ემზარ კვიციანი - | პარლამენტის წევრი. |


2. ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარეობა დაევალოს საბჭოს წევრს – ირინე ფრუიძეს.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2015 წლის 30 დეკემბრის №195/3 ბრძანება და „გუგული მალრაძისათვის ღია

და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარეობის დავალების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2016 წლის 12 თებერვლის №18/3 ბრძანება.

4. ბრძანება საჯაროდ გამოცხადდეს 2017 წლის 16 იანვარს და ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრამის ქ. №11).


ირაკლი კობახიძე